გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №29

2009 წლის 20 აგვისტო ქ. გურჯაანი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 29 ივნისის №39 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის, 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 29 ივნისის №39 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ შემდეგი ცვლილები და დამატებები:

1. დადგენილების მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ ბ) მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ ერთ სულ მოსახლეზე თვეში 0,2 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 0,4 ლარისა თითოეულ ოჯახზე.“

2. დადგენილების დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.“

მუხლი 2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 2009 წლის 3 ივლისის №27 დადგენილება „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 29 ივნისის №39 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

მუხლი 3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ზაქარია იაგანაშვილი**

დანართი №2

„დამტკიცებულია“

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2009 წლის 20 აგვისტოს №29 დადგენილებით.

მოსაკრებლის ოდენობა შეიძლება დიფერენცირებული იყოს ნარჩენების წარმომქმნელის მიერ, დაგროვებული ნარჩენების წონის, მოცულობის ან/და ნარჩენების დაგროვების ნორმის, ნარჩენების სახეობის მიხედვით, აგრეთვე ნარჩენების წარმომქმნელის შემოსავლის, ქონების, დაკავებული ფართობის, დასაქმებული პერსონალის რაოდენობის, საქონლის (მომსახურების) მომხმარებელთა რაოდენობის, მიღებული სხვა საბინაო-კომუნალური მომსახურების მოცულობის (ღირებულების) და ა.შ. მიხედვით. მოსაკრებლის ოდენობის დადგენისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ სიდიდეების კომბინაციებიც, მაგრამ იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25 ლარს 1 კუბურ მეტრ ნარჩენებზე.

№	სამეწარმეო საქმიანობა	ზომის ერთეული	მოსაკრებლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე (ლარი)
1	მუზეუმები, ბიბლიოთეკები	საერთო ფართის 1 კვ.მ	0.01
2	ოფისები, სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები, ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები	სამუშაო ფართის 1 კვ.მ	0.01
3	კინოთეატრები და თეატრები	მაყურებლის ერთი სავარძელი	0.01
4	სკოლები, ინსტიტუტები, კოლეჯები, საბავშვო ბაგა-ბაღები (საგანმანათლებლო დაწესებულებები)	ერთ მოსწავლეზე	0.03
5	სასტუმროები	მომსახურების ერთეული (ერთი საწოლი)	0.4
6	საავადმყოფოები	ერთი საწოლი	0.25
7	პოლიკლინიკები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრები.	საერთო ფართის 1 კვ.მ	0.03
8	ექიმებისა და სტომატოლოგიური კაბინეტები	საერთო ფართის 1 კვ.მ	0.25
9	სტადიონები, სპორტულ გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ტერიტორიები და მანეჟები	1კუბ.მ ნარჩენზე	2.5
10	სასურსათო საქონლის მაღაზიები	სამუშაო ფართის 1კვ.მ	0.1
11	სამრეწველო საქონლის მაღაზიები	სამუშაო ფართის 1კვ.მ	0.1
12	აგრარული ბაზრები	საერთო ფართის 1 კვ.მ	0.03
13	შერეული საქონლის ბაზრობები	საერთო ფართის 1 კვ.მ	0.03

14	ავტოსადგომები და საწყობები, პირდაპირი მიყიდვის გარეშე	სამუშაო ფართის 1 კვ.მ	0.05
15	ბენზინგასამართი სადგურები	სამუშაო ფართის 1 კვ.მ	0.03
16	ავტომანქანების სარემონტო სადგურები. ტექ.მომსახურების ადგილები	სამუშაო ფართის 1 კვ.მ	0.03
17	აბანოები, საუნები	საერთო ფართის 1 კვ.მ	0.1
18	სადალაქოები და სილამაზის სალონები	საერთო ფართის 1 კვ.მ	0.2
19	რესტორნები, სასადილოები, კაფეები და ბარები	სამუშაო ფართის 1 კვ.მ	0.15
20	საცხობები	სამუშაო ფართის 1 კვ.მ	0.15
21	ტოტალიზატორები, სათამაშო კლუბები	საერთო ფართის 1 კვ.მ	0.2
22	რკინიგზისა და საავტომობილო სადგურები	დახურული ფართის 1კვ.მ	0.02
23	საწარმოო დანიშნულების ობიექტების ღია ტერიტორიები	ღია ფართის 1 კვ.მ	0.001
24	აფთიაქები	სამუშაო ფართის 1 კვ.მ	0.15

ერთი თვის მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება იურიდიული პირებისათვის

მ=გ X რ

მ – ერთი თვის მოსაკრებელი იურიდიული პირებისათვის (ლარი)
გ – მოსაკრებლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე (ლარი)
რ – ზომის ერთეულის ფაქტიური რაოდენობა (შესაბამისი ფართი, ადგილი, საწოლი და ა.შ.)